სამშაბათი, 12 ოქტომბერი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 სამშაბათი, 12 ოქტომბერი, 1904 წ.

გაზეთის ფასი:

12	თვით . .	10 მ.	— კ.
11	,, . .	9 ,,	50 ,,
10	,, . .	8 ,,	75 ,,
9	,, . .	8 ,,	— ,,
8	,, . .	7 ,,	25 ,,
7	,, . .	6 ,,	50 ,,
6	,, . .	6 ,,	— ,,
5	,, . .	5 ,,	50 ,,
4	,, . .	4 ,,	75 ,,
3	,, . .	3 ,,	50 ,,
2	,, . .	2 ,,	75 ,,
1	,, . .	1 ,,	50 ,,

იბერია

№ 233 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 233

წლიურის ფასი ნაწილ. ნაწილად შემოტანის ვადა

[illegible] 3 მ. და თებერვლის 1 ს—5 მ. მარტის [illegible] მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თებათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გაგზავნა, ქართული წარმოდგენების გამგე ამხანაგობის დირექცია და **ქართულ-დრამატიულ დასის მსახიობნი** ამით აუწყებენ ქართველ საზოგადოებას, რომ ოთხშაბათს, 13 ოკტომბერს, დილის 12 საათზედ კალოუბნის ეკლესიაში დანიშნულია პანაშვიდი მარად დაუვიწყარის ქართულის თეატრის დამაარსებელის

თავადის გიორგი ერისთავის

სულის მოსახსენებლად. (2—1)

წარმოდგენა № 1.

სახაზინო თეატრი

ოთხშაბათს, 13 ოკტომბერს, 1904 წ.

ქართულ დრამიტიულ დასის-მიერ წარმოგენილიიქმნება

სეზონის დასაწყისად

სახსოვრად თავ. გიორგი ერისთავისა, რომლის გარდაცვალებიდან შესრულდა 40 წლიწადი, († 9სექტემბერს 1864 წ).

I

გაყრა

პირვ. მოქმ. გ. ერისთავი 4 მოქმ. კომ.

II

ძუნწი

პირველი მოქმედება გ. ერისთავის ორ მოქ. კომედ.

III

დავა

3 და 4 მოქმ. გ.ერისთავის 4 მოქმ. კომედიიდან.

IV

დასასრული საღამოსწაულო აპოთეოზი

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ. მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი,

დირექტია ამხანაგობისა. მორიგი რეჟისორი ვ. აბაშიძე.

შემდეგი წარმოდგენა სახაზინო თეატრში ოთხშაბათს, 20 ოკტომბერს. წარმოდგენილი იქნება ვ. შექსპირის 5 მოქმედებიანი ტრაგედია „იულიუს ქეისარი“.

საკერვალი

ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობ ქალთა ტანისამოსს

შესაკერად

ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა და სხვა ხელთ-საქმისას.

ტფილისი, წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ანა მერკვილაძისა.

ქართული თეატრის განცხადება.

ქართულ წარმოდგენების გამგე ამხანაგობა ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ დამდეგ სეზონში ქართული წარმოდგენები გაიმართება **ტფილისის სახაზინო თეატრში** ყოველ კვირაში ოთხშაბათობით და **საკრებულო დარბაზში** (კლუბში)—ყოველ კვირა დღეს.

მსახიობი ქალნი:

ტ. აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. ჩხეიძე, ა. კარგარეთელი, ნ. მესხი, ბ. ნებიერიძისა და ნ. ჯავახიშვილი.

მსახიობი კაცნი:

ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, კ. მესხი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, ს. სვიმონიძე, ვ. შალიკაშვილი, გ. გედევანოვი, ი. ივანიძე, ა. იმედაშვილი, ნ. სარჯველაძე, გ. იორდანაშვილი, ბ. ბეგლარიძე, ა. წუწუნავა.

საგანგებოდ მოწვეულნი იქმნებიან:

ე. ს. მესხი და ვ. ს. ალექსი-მესხიშვილი.

რეპერტუარი:

შექსპირი: «იულიონ კეისარი», ტრ. 5 მოქმ.

მოლიერი: «კრიჟანგი», კომედია 5 მოქმ.

შილლერი: «ორლეანელი ქალი», ტრაგ. 5 მოქმ.

ევრიპიდე: «მედეია», ტრაგ 1 მოქმ.

იბსენი: «საზოგადოების ბურჯნი», «მოჩვენებანი», დრამა 5 მოქმ., «ხალხის მტერი ანუ ექიმი შტოკმანი».

ჰაუპტმანი: «როზა ბერნდტი», დრამა 5 მოქმ., «მზის ამოსვლამდის», დრამა 5 მოქმ., «სულით ობოლნი», დრ. 3 მოქმ.

ზუდერმანი: «მამული» (მაგდა), დრ. 4 მოქმ., «ფრიცხენ», დრ. 1 მოქმ.

ბარრეტი: «ახალი მოძღვრება», დრ. 5 მოქმ.

ჯიაკომეტი: «ივდითი», ტრაგ. 5 მოქმ.

ფერარრი: «მებრძოლნი აზრისათვის», ისტორ. კომ. 4 მოქმ.

მეტერლინკი: «ბრმანი», დრ. 7 მოქმ. «სულით საიდუმლონი», დრამა 5 მოქმ.

გიუ-დემოპასანი: «M-lle ფიფი».

შნიტცლერი: «მწვანე თუთუყუში» 1 მოქმ.

დრეიერი: «მასწავლებელი», კომ. 4 მოქმედ.

ფილლიპპი: «კაცობრიობის კეთილ-მოყვარენი», დრ. 3 მოქმ.

ბრიე: «მსაჯული» (წითელი მანტია).

გ. ერისთავი: «ყაკარყვარე ათაშაგი».

სუმბათაშვილი: «ღალატი», დრამა 5 მოქმ.

დ. ერისთავი: «სამშობლო», დრამა 5 მოქმ.

შ. დედაბრიშვილი: «შიო თავადი», ისტორიული დრამა 3 მოქმ.

ნ. აზიანი: «სამშობლოს ბურჯნი», კომ. 2 მოქმ.

ტრ. რამიშვილი: «მეზობლები», დრ. 4 მოქმ.

ი. ევდოშვილი: «ჭრელი სუფრა».

ვ. გუნია: «სხვის ნაოხარზე», დრ. 3 მოქმ.

დ. ნახუცრიშვილი: «ოჯახის ბურჯი».

აგრედვე ძველი ცნობილი პიესები.

მორიგი რეჟისორნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია და კ. შესსი.

პირველი წარმოდგენა იქმნება ოთხშაბათს, 13 ოკტომბერს, სახაზინო თეატრში.

დირექტია ამხანაგობისა.

(3—1).

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

სამშაბათს, 12 ოკტომბერს,

ვ. ნ. პეტროვა-ზვანცევისა და ვ. ნ. ანიჩკოვის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

სარსკაია ნევესტა

მუსიკა რიმსკი-კორსაკოვისა.

ბალეტს განაგებს **ჯიოვანნი.** პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია.**

უფროსი რეჟისორი ს. ფ. გეტეგეიჩი.

კაპელმეისტერი ნიკ. მიკლაშევსკი.

ფასები ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.

ოთხშაბათს, 13 ოკტომბერს,

გაიმართება ქართულ დრამატილ საზოგადოების-მიერ ქართული წარმოდგენა.

წარმოდგენილი იქმნება

გ. ერისთავის სახსოვრად

„გაყრა“ (პირველი მოქ.); **«ძუნწი»** (პირველი მოქ.); **დავა** (მესამე და მეოთხე მოქ.) და **სადღესასწაულო აპოთეოზი**

მონაწილეობას იღებს მთელი დასი.

სუთშაბათს, 14 ოკტომბერს,

გასტროლი ვ. ნ. პეტროვა-ზვანცევისა და ბ-ნ ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

იოან ლეიდენსკი

მზადდება პირველად ტფილისში **«ნეროლნი»**, მუსიკა ა. რუბინშტეინისა და **«ვერტერი»**, მუსიკა მონიუშკოსი.

ბილეთები იყიდება.

გამგე ი. კედლური.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა წინად **Набережная**, სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ა. ი. ბალარჯიშვილი—ბავშვებისა, $9^1/_2$—$10^1/_2$ ს.

ნ. ტ. ბულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათ.

ლ. ი. კამოლოვი—საშარდესი, ვენერიული და ხირურგია. 11—12 საათ. ყოველ დღე.

მ. ი. კიმონტი—ხირურგია—კვირაობ., სამშაბათ., ხუთშაბათ. და შაბათ. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

მ. კ. იოსელიანი—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია ყოველ დღე 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე—სიფილისისა და კანისა, $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ.

გრ. ვ. სოგოლევსკი—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით. 1—2 საათ.

პ. ა. ბეიერი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

ლ. მ. მოზინი. ქალისა, საბებ. და ბავშვ. და შემოწმება ძიძებისა ორშაბათ., ოთხშაბ. და პარასკევობით 2—1 საათ.

ვ. ს. მუსხელაშვილი—თვალისა- ყოველ დღე, გარდა სამშაბ. და კვირ. 2—3 სათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

გრ. ვ. სოგოლევსკი—ქირურგია და ორთოპედია 5—6 სათ.

ტ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათ.

სამკურნალოში ეწყობა ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაქტერიო-სკოპიული კამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3—5 მანეთამდე დღე-დამეში. სამკურნალო გაფართოვებულია ოცის კრაოტით.

ტელეფონი № 274

(წ.)

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ეორდანოგის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. სადამოს 6—7 საათამდე.

ბეჟელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მიდოვისა. № 5

ბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ სადამოს 5 საათ., ოდგას ქუჩა, № 31.

ბაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაწაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე,—დორისმედნიკოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და სადამოთი 6—8-დე.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ჟ. მ. ჩიძოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ბ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთ. ავადმყოფობანი.

კ. ი. ბეჟელიშვილი. 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ბ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ბ. სოლოდაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

პ. ა. არდაზიანი. აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 5—7 საათ.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაკს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბეჟელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

—

ნავთსაყუდლების არქონა. სწორედ გასაკვირველიაო, ამბობს გაზეთი «ნოვოე ვრემია», ჩვენი დაუდეგრობა ნავთსაყუდლების შესახებ. ასეთი საშინელი ბრძოლა გვაქვს ამ-მამავალ მზის ქვეყანასთან, ასე უმეგობროთ გვეპყრობიან სულ ყველა ნეიტრალი სახელმწიფოები და არც ერთი მათგანი არ გვაძლევს ნებას, რომ მათს ნავთსაყუდლებში შევაფაროთ ჩვენი გემები ანუ ზიანის შესასწორებლად, ანუ ქვანახშირის წასაღებად, ანუ დაღალულ მეზღვაურთა შესასვენებლად, და ამავე დროს ჩვენ, რომელთაც გვაქვს საკმაოდ თვალსაჩინი ფლოტი ბალტიის ზღვაზედ, შავსა და იაპონიის ზღვაზედ, აქამომდე აზრათაც არ მოგვსვლია შეგვეძინა დიდ ოკეანეში ერთი ან ორი ისეთი პორტი, რომ გაჭირვებაში სახვეწური არავისთან გვქონოდა. ეხლა ჩვენი ბალტიის ფლოტი მიემგზავრება იაპონიის ზღვისკენ სწორეთ იმავ გარემოებაში, რა გარემოებაშიც რამდენისამე საუკუნის წინ მიდიოდნენ ხოლმე. დაუნდობელ ოკეანეს განუსაზღვრელ სივრცეში ვასკო დეგამა ანუ კოლუმბი, რომ დედამიწის ზურგისთვის შემოეარნათ. კრონშტატიდამ ვლადივოსტოკამდე სულ მცირე ოც-და ათი ათასი ვერსის მანძილია. ჩვენმა ესკადრამ დღეში ხუთასი ვერსიც რომ გაიაროს დაუბრკოლებლივ, ორ თვეზედ ძლივს ჩავა ვლადივოსტოკში, და ამოდენა უშველებელ გზაზედ ერთი ნახშირის საწყობიც კი არსად მოგვეპოვება. უთვალავი კუნძულებია გაფანტული დიდ ოკეანეში, წვრილი და დიდი. ნუ თუ არ შეიძლებოდა გვეზრუნა, რომ ერთი პატარა სახერხო კუნძული გვეყიდნა გოლლანდიებისაგან, რომ იქ დაგვემკვიდრებინა ჩვენი საკუთარი ნავთსაყუდელი და ნახშირის საწყობი ბინა. აგერ ეხლა რომ შემოწირულება გროვდება ფლოტის გასაძლიერებლად, კარგი იქნება იმ თანხიდამ გადაიდოს რამდენიმე ნაწილი ასეთის კუნძულების შესაძენათ ინდიისა და დიდ ოკეანებზეო, ურჩევს აღნიშნული გაზეთი მთავრობას.

—

უგზოობა მანჯურიაში. ბ-ნი ნემიროვიჩ-დანჩენკო «რუსსკოე სლოვო»-ში საშინელს სურათს გვიწერს მანჯურიის უგზოობისას. ხაიჩენიდამ ლიაოიანისაკენ დაიწია ჩვენმა ჯარმაო, იაპონელთა ზარბაზნები ჰქუხს და აფრქვევს საშინელ ცეცხლს, თოფების ტკაცა-ტკუცი და ტყვიის ზუზუნი დაუსრულებელია. ჩვენი უკანა ჯარი პასუხს აძლევს მტერსა, რომ ცოტათი შეაფერხოს იგი და მოწინავე რაზმებს შეაძლებინოს ზარბაზნების სამშვიდობოზე გატანა, უზიანოდ აზიდვა ლიაოიანში. უნდა თვალით გენახათ, რა წვალება და წამება იყო არტილერიის გატანა, თორემ წარმოდგენა შეუძლებელია. მანდარინის გზას ვადექით. ისეთი ტლაპოები იყო, რომ ჩინურ ურმების თვლები თითო არშინზედ იფლობოდა ტალახში. ზარბაზნებს რაღა მოუვიდოდათ. თითო ზარბაზანს მოუბამდნენ 30—40 ცხენსა და მაინც ვერას აქნევდნენ, ვიდრე არ დაეხვეოდნენ უმრავლესი ჯარის კაცები და დიდის ხვნეშა-ქშენით არ ამოსწევდნენ თვლებს ტლაპოდამ. საცოდავი ცხენები ხშირად ყელამდინა ცვიოდნენ ტალახში და ახლა იმათი ამოყვანა ხდებოდა თავში საცემი. ჯარის კაცები ხომ შავს მაშხალას ემზგავსებოდნენ, ისე გაითხუპნებოდნენ ხოლმე ტალახისაგან. ერთის ადგილიდამ რომ დასძრავდი ზარბაზანს და რამდენსამე ნაბიჯს წაადგმევინებდი წინ, ახლა ჩავარდებოდა მეორე ადგილას, სადაც კვლავ დაიწყებოდა იგივე ტანჯვა, წვალება და წამება. ამავე დროს მოისმოდა მტრის ყუმბარების ხათქა-ხუთ-

ქი, თოფის ტყვიის ზუზუნი და კომანდირების გაცხარებული ბრძანება—«ფეხი აიჩქარეთ, თორემ მტერი გვიახლოვდებაო» ხალხის გამწარებასა და შეღონებას საზღვარი არა აქვს, ყველა საშინლად გაბრაზებული და გაბოროტებულია. უფროსნი ჰხედავენ მათს გაჭირვებას და ცდილობენ ტკბილის სიტყვით გული გაუკეთონ, გაამხნეონ. ცხენებზედა სხედან და გამოელისას ეუბნებიან დატანჯულებს: «ჰაი, ბარაქალა, ბიჭებო, ემაგრე გაისარჯენით, ემაგრე!» ასეთი სიტყვები უფრო აბოროტებს დაღლილ-დაწყვეტილ ხალხსა. ყველა ჭრძნობს, რომ უნდა ჩქარა გასცილდნენ აქაურობას, თორემ საცაა მტერი დაგვესხმის თავს. აგერ ახლო მთიდამ რამდენიმე იაპონელი გამორბის გაოლიანის ყანაში, რომ იქიდამ დაგვშინოს თოფი. მოდი და ნუ უშველი თავსა, მაგრამ რას უზამ ზარბაზნებს? ამ ერთ ბატარეიას მოსდევს მეორე, იმას მესამე და სხვანი; ხომ ყველას ეს დაწყვეტილი ტლაპოიანი გზა აქვს გასავალი და წინ კიდევ დიდი მანძილია დარჩომილი.—მოდი და იომე ამისთანა გარემოებაში, — სასოწარკვეთილებით მეუბნება ახალგაზდა აფიცერი. —სწორედ საშინელებაა,—ვუპასუხე.

«—მაინც ზარბაზნებს თავს ვერ დავანებებ. სარდალმა გვიბძანა, რომ ზარბაზნისათვის კაცმა სიცოცხლეც კი არ უნდა დაზოგოსო. ძალიან კარგი, მაგრამ თუ კი ვერასგზით ვერ გაატარებ ამ ტლაპოში, რა უნდა ჰქნა! თანაც ჯერ რამდენი ათეული ვერსი გვაქვს გასავლელი».

ცოტახანს უკან ჯარის კაცებმა, რომელნიც სულს ველარკკი იბრუნებდნენ დაქანცვისაგან, მიატოვეს ზარბაზნები და გაუდგნენ გზას, სადაც მუხლებამდე ტალახში იფლეთდნენ.

«—სად მიხვალთ, ხალხნო, როგორ სტოვებთ ზარბაზნებსაო, — შეუყვირეს ქვეითი ჯარისკაცებს.—აბა, თუ ყოჩაღები ხართ, თქვენა სცადეთ,—უპასუხეს მწარეთ იმედგადაწყვეტილებმა».

სცადეს და არაფერიც გამოდნა.

აი მიზეზი, რათაც დავტოვეთ ამ გზაზედ ჩვენი ზარბაზნები, რომელთაც დაპატრონნენ იაპონელნიო, იწერება კორრესპონდენტი.

ტ ფ ი ლ ი ს ი

ტფ. ქალაქის მოურავის არჩევნები. წუხელის, 11 ოკდომბერს, კრება ჰქონდა ქალაქის საბჭოს, რომელსაც, სხვათა შორის, უნდა ამოერჩია ქალაქის მოურავი. უმთავრეს კანდიდატებად დასახელებულ იქმნენ ბ-ნნი ა. ს. ბაბოვი (საბჭოს ხმოსანი) და ქრ. ა. ვერმიშევი (წინად გამგეობის წევრად ნამყოფი). ხმის უმეტესობით საბჭომ ამოარჩია ბ-ნი ქრ. ა. ვერმიშევი, რომელსაც ამოუვიდა 45 თეთრი კენჭი და 27 შ.; ბ-მა ა. ს. ბაბოვმა მიიღო 26 თეთრი და 45 შავი ამგვარად, ქალაქის მოურავად არჩეულ იქმნა ბ-ნი ქრ. ა. ვერმიშევი.

*** **შანაშვიდი გ. ერისთავის სახსოვრად.** ხვალ, 13 ოკდომბერს, ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა, ქართულ წარმოდგენების გამმართველ ამხანაგობისა და ქართულ დრამატიულ დასის თაოსნობით, კალოუბნის ეკლესიაში (გრაფის ქუჩაზედ) გარდახდილ იქმნება შანაშვიდი ქართულ თეატრის დამაარსებლის თავ. გიორგი ერისთავის სულის მოსახსენებლად მის გარდაცვალებიდგან 40 წლის შესრულების გამო (9 სეკდ. 1864 წ.).

*** **საბავშო ბაღები.** ჩვენს ქალაქში თითო-ოროლა კერძო კაცსა აქვს გამართული საბავშო ბაღი, მაგრამ ეს მხოლოდ სახელია და საქმით კი ნამდვილი საბავშო ბაღი, სადაც მშობელთ ჰქონდეთ შეძლება რიგიანად გაართონ შვილები, არ არის ჩვენში. ამ ნაკლის თავიდგან ასაცილებლად ბავშვისათვის მზრუნველმა საზოგადოებამ მიჰმართა ქალაქის თვითმართველობას თხოვნით—დამითმე სატივოზედ ცარიელი ადგილი, რომ იქ გავაკეთო ათასნაირი დროსგასატარებელი სათამაშოები, რათა ტფილისის ბავშვებმა ივარჯიშონ ფიზიკურად და განვითარდნენ ესტეტიურადაო. საზოგადოებას აზრადა აქვს გამართოს საველოსიპედო მოედანი, დაგუბოს წყალი იმდენად, რომ ზედ ნავებმა იცურაოს, გააშენოს ყვავილისა და სადეკორაციო ხეების ბაღები, ბუჩქები და მოაწყოს მრავალი სასიამოვნო და სასარგებლო სათამაშოებით. დღეს სატივოზედ ქალაქს ერთის სამიკიტნო დუქნის მეტი არა აქვს-რა სამ დესეტინა მიწაზედ. ეს სამიკიტნო იძლევა წლიურად 500 მანეთს, საზოგადოება აპირებს გაამაგროს მეზობლად მდებარე კუნძული, რომელიც წყალდიდობის დროს სულ გაკრულია ხოლმე წყალითა, და მაშინ ქალაქის მიწა ერთი ორად იქცევა. ბულდის პირას გაიყვანს საეტლო გზას თითქმის ორის ვერსის სიგრძეზედ და სატივოს შეაერთებს საბურთალოსთან. როდესაც ყოველივე ეს შესრულებული იქმნება, მაშინ ქალაქის ადგილი, დღეს უსარგებლო, მიღიონის ფასისა შეიქმნება. ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საბჭოს კომისია რიგიანად შეიმუშავებს გადაცემის პირობას და ურჩევს თვითმართველობას, რომ საზოგადოებას არ უთხრან უარი ზემოხსენებულ თხოვნაზედ, რომლის დაკმაყოფილებაც გაამდიდრებს ქალაქსა და განუსაზღვრელ სამსახურს გაუწევს ქალაქის ბავშვებს, მოკლებულებს სასარგებლო დროს გატარებას.

*** **ქალაქის სტიპენდია პეტერბურგის პოლიტეხნიკუმში.** მარშანმ, 3 მაისს, ქალაქის გამგეობამ დაადგინა, პეტერბურგის დაარსებიდგან 200 წლის შესრულების გამო, პეტერბურგის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში დაარსებულ იქმნას იმპერატორ პეტრე დიდის სახელობის ერთი სტიპენდია ტფილისის დარიბ მუხოვრებთათვის. მარშანვე, 5 მაისის კრებაზედ, ქალაქის საბჭომ გამგეობის დადგენილებაში შემდეგი ცვლილება შეიტანა: „თუ ვინიცობაა ტფილისში დაარსდა პოლიტეხნიკუმი, ის სტიპენდია გადმოტანილ იქმნას ტფილისის პოლიტეხნიკუმში. ამის გამო შეეკითხნენ კავკასიის საოლქო სამოსწავლო მთავრობას, რომელმაც საჭიროდ დაინახა, ეს დადგენილება შევსებულ იქმნას ამ სტიპენდიაზედ კანდიდატის ასარჩევად გამოცემულ წესებით და აგრედვე იმ წესით, ავალებს თუ არა რასმე ის სტიპენდია იმ სტუდენტს, რომელიც არჩეულ იქმნება სტიპენდიანტად, მაგ., კურსის გათავების შემდეგ, უნდა ემსახურნოს თუ არა ის ქალაქს.

*** **სოდერა ბაქოში.** ოფიციალურის ცნობებით, ხოლერით 7 ოკდომბერს ავად გამხდარა 2 კაცი, გარდაცვლილა ერთი; 8 ოკდომბერს ავად გახდა 5 კაცი, ორი გადაცვლილა, ერთი ამათგანი წინად იყო ავად გამხდარი.

*** **ჯარში გაწვეულთა კენჭის ყრა.** ტფილისის საქალაქო სამხედრო ბეგარის საკრებულოში 15 ოკტომბრიდან, დილის 8 საათზედ, დაიწყება იმ ახალგაზდათა კენჭის ამოღება, რომელნიც წელს უნდა გაიწვიონ ჯარში. თავმჯდომარედ იქმნება ქალაქის მოურავის მოადგილე თ. ვ. ნ. ჩერკეზიშვილი, წევრებად: სამხედრო უწყებისაგან—პოდპოლკ. მალინინი, პოლიციისაგან—მე-5 ნაწილის პოლიც. ბოქაულის თანაშემწე ბაბალოვი, ქალაქის თვით მმართველობიდან—ხმოსნები სურენიანცი და თამამშევი (გ. ზ.). ამათი კანდიდატები —ხმოსანი ფეფელოვი და ბ-ნი ესაძე, სამხედრო ექიმი მაზუროვი. სამოქალაქო ექიმი ჯერ არ დაუნიშნავთ. სიაში მოქცეულია 650 კაცი, ამათგან უნდა გაყვანილ იქმნას ჯარში 259. ისინი, ვინც შეცდომით სიაში არ არიან მოქცეულნი, უნდა გამოცხადნენ სიის შემოწმების დროს საკრებულოში, ვიდრე კენჭის ყრა დაიწყებოდეს.

*** **უფასო ექიმი ქალაქის სამკურნალოში.** ტფილისის ქალაქის თავის მოადგილემ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა აცნობა ტფილისის გუბერნატორს, რომ ქალაქის სამკურნალოს დიდუბის განყოფილებაში ექიმი პავლე ალექსანდრეს ძე არდაზიანი უსასყიდლოდ მიიღებს საბავშო და შინაგან სენით ავადმყოფთაო.

*** **ახალი ეკეკლესია ნაძალადევში.** კვირას, 10 ოკდომბერს, ეპისკოპოსმა ალექსიმ, აუარებელ ხალხის და სამდვდელოების თანადასწრებით ნაძალადევში აკურთხა ივერიის ღვთისმშობლის ეკკლესიის ახლად ჩაყრილი საძირკველი.

*** **ამაურ-კავკასიის** რკინის-გზის უფროსს ინჟენერს ი. გ. ივანოვსკის ტფილისში მოელიან 15 ოკდომბერს. ბ-ნი ივანოვსკი პეტერბურგს არის სამსახურის საქმეთა გამო.

*** **სათადარიგო ჯარის-კაცთა მოწვევა ქუთაისის გუბერნიაში.** ქუთაისის საგუბერნიო სამხედრო საკრებულო აცხადებს, რომ 13 ოკდომბერს, ხვალ, უნდა გამოცხადნენ შესამოწმებლად საკრებულოში ქუთაისის გებერნიის ყველა ის მცხოვრებნი, რომელნიც სათადარიგო ჯარში არიან ჩარიცხულნი.

საქართველო

ჭიათურა ხოლერის მოლოდინში «ერთი ჭირი მორგებელიაო» იტყვიან. სწორედ წლეულდელს ხოლერობაზედაა ნათქვამი. მოაღწია თუ არა ჩვენამდის ხმამ, რომ სპარსეთში «ხოლერა გაჩენილაო», ყველგან საქართველოში გაჩნდა ფაცი-ფუცი, ამოძრავდა დიდი და პატარა, სოფელი და ქალაქიც. გასუფთავდა და განსპეტაკდა ის ადგილებიც, რომელებსაც თვალიც კი ვერ უძლებდა. აი ამის წყალობით ადგირობრივი სანიტართ დასი ერთობ მხნედ და დაუღალავად შეუდგა მუშაობას და, თუ დღემდის ჭიათურა უსუფთაობის ბუდედ იყო ცნობილი, სამაგიეროდ დღეს სისუფთავე ზომაზედ არის დაცული, მხოლოდ ვისურვებ, კვლავინდებურად არ აუტიონ გვერდი თავიანთ მოვალეობას იმათ, რომლებსაც მხოლოდ სისუფთავის დაცვა აქვთ დავალებული და რომელთაც შრომისათვის შავი ქვის საბჭო ღირსეულადაც აჯილდოვებს.

—

ახალი სასწავლებელი. ამავე საბჭოს შრომით დაგვიარსდა ჭიათურაში ექვს-კლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი სამთო მადნო განყოფილებით, რომლის ინსპექტორადაც 'დაინიშნა ბათუმის სამოქალაქო სკოლის მასწავლებელი ბ-ნი ნ. ჯაყელი და ეს ერთი თვეა რაც ჯიათურაშია და ენერგიულადაც ეკიდება თავის მძიმე მოვალეობას.

—

ჩარჩების ლაგამი. ამასთანავე შავი-ქვის საბჭომ დაიწესა ჭიათურაში საერთო მწონელთა მეთვალყურე, რომელმაც უნდა ადევნოს თვალყური შავი-ქვის წონას და, თუმცა საბჭოს დანიშნულმა «კანტროლმა« რაიმე თაღლითობა შენიშნა მწონელს ქვის წონის დრის, უნდა შეუდგინოს ოქმი და მწონელი თავის «ხაზიანით» პასუხის გებაში უნდა იქნეს დაუყოვნებლივ მიცემული. რასაკვირველია, ზოგიერთ ჩარჩ-მრეწველებისათვის არა—სასურველი იყო საბჭოს ასეთი დადგენილება, და გამოსძებნეს საშუალება შავის-ქვის ფასი და მუშათა ქირის შემცირებისათვის ანდაზაა: «ვინც გააჩინა თხაო, მან მოუგრიხა რქაო». აი ასე ითქმის დღეს ზოგიერთ შავიქვი-ქვის მრეწველებზედაც.

გ. ნანეფი

კიდევ მამულის სიმცირისა და სიცოცხლისათვის ჩვენში.

ამას წინად წავიკითხე «ივერიაში» მოწინავე წერილი მამულის სიმცირის შესახებ გლეხ-კაცობაში და მწარე ღიმილმა გადამირბინა სახეზედ. დიაღ, ძალიან სიმცირეა გლეხ-კაცობაში მამულისა; ამას ყველა ჩვენგანი კარგად არის ჩაკვირვებული, მაგრამ... ვინ მოგვანიჭა ჩვენ, თავად-აზნაურთ ის თვისებანი, რომ მამულის განაწილებაზედ ვიფიქროთ?! თუ რაიმე მამული კოდევ გვაბადია, არ დაგირავებული ერთხელ და მეორედ, ვსცდილობთ საუკუნოდ მოვიშოროთ თავიდამ და, რაც შეიძლება, ძვირად გავყიდოთ დაგირავებული. ასე სყიდვა-კი შეძლებულებს შეუძლიანთ მხოლოდ, რადგან ერთიანი ფული მათ ხელშია. აშკარაა რამდენისამე წლის ვადით გასყიდვა მამულისა და წლობით განაწილება სასყიდელის აღებისა, ჩვენს ბუნებაში ჯერ არ გაღვიძებულა. თამამად ვამბობ ამას.

დიაღ, დიდი ვიწროობაა მამულისა ზემო ქართლში. გლეხ-კაცობა წელებზედ ფეხს იდგამს, სარჩო-საბადებელს ჰკარგავს, რომ შეიძინოს ორიოდე დღის მიწა; მაგრამ არ ძალუძს შეაგროვოს იმოდენი, რომ დიდი მამულები შეისყიდოს. დიდი მამულები მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ყველა მამული ზემო ქართლში, რომელიც კი გამიჯნულია, ბანკშია ჩაგირავებული და ბანკი ხომ ნაჭრობით არ ჰყიდის ჩაგირავებულ მამულს, არამედ მთლად. მართალია, ბევრი მეკომურეობია მოწადინებული, რომ ათმა და ოცმა და მეტმაც შეისყიდონ მოზრდილი მამული, მაგრამ საიდან გაიგონ, სად, როდის და რა ფასად ჰყიდის ბანკი მამულს? საიდამ რას გახდება, როცა ორი-სამი სოფელი რომ დაიაროს კაცმა, ვერ ჰნახავს მამაკაცს, რომელმაც მამასახლისის უბრალო უწყება წაიკითხოს, ქართულად დაწერილი. თუ იტყვის ვინმე, ქართულ გაზეთებიდან გაიგოსო, ვაი შენს მტერს, მკითხველო, ეს მოუხერხებელია. თვითონ თავად-აზნაურობა, მომეტებული მათგანი მაინც, ნათესავების წერილებიდამ თუ გაიგებს ხოლმე ვადას, როცა არის მათი მამული სავაპროდ დანიშნული, თორემ გაზეთს ძალიან ცოტანი კითხულობენ ქართლში. აბა, ამ გარემოებაში მყოფი გლეხ-კაცი საიდამ რას შეიტყობს, რომ როდესმე მოახერხოს მამულის შეძენა ბანკიდამ, თუნდაც რომ ღონე ჰქონდეს ან მთელს სოფელს უნდოდეს საერთოდ?

დიდი, დიდი სურვილი აქვსთ გლეხებს მამულისა შეძენის და დიდს ფასსაც აძლევენ მიწაში. აი, მაგალითს მოგახსენებთ. შუბითიძეებმა და ლურსმანიშვილებმა ბ—ში იყიდეს (სოფელია ფრონის ხეობაში) ორასის დღის მამული (ასი დესიატინა) და მისცეს ორი ათასი თუმანი (20,000 მ.), ესე იგი ერი დღიური, 1,200 ოთხკუთხი საჟენი—100 მანეთი. ისიც სულ ხომ სახნავი არ არის: სახნავი, ბუჩქნარი, გვერდა, რიყე და სხვა. გელაშვილებმა და ტეფნაძეებმა იყიდეს სოფელ ე—ში ორის დღის მიწა, იმავე ღირსებისა, როგორც ზევით დავასახელე და დაუჯდათ 11,000 მანეთი. განა ამ ფასად რომ გაეყიდნათ ჩვენს თავად-აზნაურთ თავიანთი დიდი მამულები, კიდევ ორმოცს და სამოცს წელს არ ეყოფოდათ გროშები, რომელსაც აიღებდნენ მამა-პაპებისაგან სისხლით და ტანჯვით შეძენილ მამულებში?! მაგრამ გლეხკაცს ძალიანაც რომ უნდოდეს მამულის ყიდვა თავად-აზნაურისაგან, შიშობს, არ ენდობა. ცხოვრების ისტორიულმა სვლამ ბევრჯელ აწენვინა გაჭირვება გლეხკაცს, როცა დაიჭირა აღებ-მიცემობა თავადაზნაურთან. ბევრმა მიჰყიდა შინაურულად, ძველებურად, შეუჭამა ბეთ აღებული ფული და ბოლოს ბანკში ჩაგირავა კანონიერ საბუთებით და შინაური პირობა გააუქმა: ბევრმა; ბევრმა მოატყუა გაუგებარი და გამოუცდელი კანონებში გლეხი ჩვენს მხარეს. აი თუნდ ერთს ამბავს მოგახსენებთ ნათქვამის დასასაბუთებლად.

ერთმა თავადმა, გლეხებს რომ მამული მიჰყიდა, უთხრა შემდეგი: «შვილებო და ძმებო, მოყიდულ მამულში თორმეტი დღის პური მიდგია, ამ პურში ვალდებული ვარ გარდავიხადო თქვენ სასარგებლოდ ღალა, მოგცეთ კარგი, სუფთა მარცვალი, ოცდა შვიდი კოდი პური იმ ჩანახით, ესე იგი 25 გირვანქიანით, რომლითაც მე ვიღებდი აქნობამდე ღალას გარდა ამისა გაძლევთ საკუთრებად ერთის გლეხის სანადელოს და ჩანახსაც თქვენ გაჩუქებთ; ჩანახი რაღად მინდა. თუ მამული წაიღეთ, ჩანახიც ღმერთმა მოგახმაროთო».

გლეხებმა დიდი მადლობა უძღვნეს, დაჰკლეს ურწანი ძროხა, ცხვრები, ჩამოიტანეს სურამიდამ ბლომად მაჭარი და გაიმართა ხან-გრძლივი ნადიმი, თავადის ტოლუბაშობით. ქეიფი, ლოთობა, ხვევნა-კოცნა სხვადა სხვა. ჩაიჩხრიალა თავადმა ათასი თუმანი...

გავიდა დრო. მოვიდა მოსავალი, გაილეწა ჭირნახული და, პირობისა მებრ, გლეხები მიადგნენ თავადს, აბა, თქვენი ნაბრძანები ოცდა შვიდი კოდი პური და ჩანახი გვიბოძეო. თავადი განრისხდა: თქვე ასეთ-ისეთებო, როგორა ჰბედავთ და მაგისთანას მაკადრებთო? მე, თავადს, მეუბნებით, გლეხებს ღალა მოგცეთ, ჩანახი გადმოგცეთო! როგორ გაბედეთ? ტყავს გაგაძრობთ, ნასყიდობას გაგიუქმებთ. ნუ გგონიათ, რომ ნასყიდი გაქვთო და სხვა ამისთანა ბობოქრობა მრავალი წარმოსთქვა. შეშინებული გლეხები უკან-უკან იწევდნენ და ბოდიშს თხოულობდნენ, გვაპატიეო.

ნადელზედ, რომელიც ამ ნასყიდებში მოჰყვა, მომრიგებელმა შუა კაცმა უთხრა—გლეხკაცის ნადელის სყიდვა გლეხებს არ შეუძლიანთ კანონით; მარტო თავად-აზნურს შეუძლიანო. აბა, მკითხველისათვის მიმინდვია—გამოიცნოს, რა დაუჯდათ გლეხებს თავადის ნდობა და, როცა ასეთი ურთიერთობა სუფევს გლეხთა და მემამულეთა შორის, განა ადვილად გაბედამს გლეხი, შეეეაჭროს მამულს, თუნდ ძალაც შესწევდეს? ამიტომაც არის, რომ ცოტა მამული უვარდება გლეხკაცს ხელში, თუმცა ბევრნი არიან ღონიერად და შეძლება აქვთ და 100—150 მანეთს არ დაიზარებენ მისცენ დღიურ სახნავ მამულში.

სოსიკო თარხნიშვილი.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ «ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲘᲡ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ.

(დასასრული *)

«მოგზაურის-დამატების» ბოლოს—ბოლოგვერდში (წიგნ. მეექვსე 1902 წ.) ვკითხულობთ თავდაწყალს «მეცნიერულ-პედაგოგიურით: „უცხო ენათა სწავლება სკოლებში“. როგორც მკითხველი დაინახავს, ეს საკითხი ჩვენში ჯერ კიდევ დღიურ ვარმად არის გადაქცეული და ამის შესახებ საუბარი მეტი არ იქნება. ზემო-ხსენებულ წერილის ავტორი ეხება ესრედ წოდებულს «მუნჯურს მეთოდს» და სამართლიანად ჰკიცხავს იმ ვითომდა პედაგოგებს, რომელნიც უცხო ენის სწავლების დროს სრულიად უარს ჰყოფენ სამშობლო ენის დახმარებას, მაგრამ თვითონვე ვარდება უარესს უკიდურესობაში: «დადგება თუ არა დრო უცხო ენის სწავლებისა» —ამბობს ავტორი,—„უცხო ენაზედვე უნდა განვგრძოთ ყოველ საგნის შესწავლა, რომ უცხო ენაც სავსებით და ყოველის მხრივ შეითვისოს მოსწავლემ“. (იხ. დამ. გვ. 15). არ ვიცი, რომელ პედაგოგიურ კანონის ძალით ბრძანებს ამას ხსენებულ წერილს ავტორი, მაგრამ ყველა გონიერი ადამიანი და არა-პედაგოგიც დაგვეთანხმება, რომ «ყოველ საგნის შესწავლა» იმ უცხო ენაზე, რომლის შესწავლასაც ეხლა შესდგომია ბავშვი, ყოვლად მოუხერხებელია და უნაყოფო იმ დრომდის, ვიდრე ბავშვი იმდენად არ შეისწავლის უცხო ენას, რომ ცოტად თუ ბევრად შეეძლება ამ ენაზე თავისთფლად აზრის გამოთქმა. ეს ისეთ ჭეშმარიტებად უნდა მიგვაჩნდეს, რომ ბაასი ამ საანბანო ჭეშმარიტების დასამტკიცებლად მეტად მიგვაჩნია. ამას გარდა ხსენებულს წერილში ჩვენი ლაღი პედაგოგი გამოსთქვამს ისეთს აზრსაც, რომელიც ძრიელ დაშორებული უნდა იყოს, როგორც საღს მსჯელობას, აგრეევ მიუდგომელ მეცნიერებასაც. მოვიყვანთ სიტყვა-სიტყვით ავტორის ხაზგასმულ აზრს: «საზოგადო ნაკლი მთელის დღევანდელის სკოლისა ერთობ სწავლა განათლებისა, როგორც ჩვენში, ისევ სხვა ქვეყნებში, ის არის, რომ სკოლა სტდიდობს კადასტის მოსწავლეს ოფეული ტოდნა მარტოდ მარტო სამშობლო დედა-ენაზედ, და არა თანაბრად ევედა ენაზედ, რომელსაც კი ასწავლიან სასწავლებელში.» (იგივე დამატ. გვ. 14) ზემონათქვამს რომ კარგად დავუკვირდეთ, ის უნდა დავასკვნათ, რომ ის სკოლა, რომელშიაც სწავლა, აღზრდის საქმე მოწყობილია მხოლოდ სრულიად ადვილგასაგებ სამშობლო დედა-ენაზედ, არ ჩაითვლება სავარგის სკოლად და, ავტორის სამწუხაროდ, ეს ნაკლულოვანება ჰქონიათ სხვათა შორის ჩვენებურს სკოლებსაც. დაგელოცა, ღმერთო, სამართალი! რა ამბავია პედაგოგთა შორის შეცილება ასეთს საანბანო ჭეშმარიტების გამო! მართალია, ჭეშმარიტება დროთა მიხედვით ცვალებადია, ბევრი, რაც დღეს ჭეშმარიტად აღიარებულია, ცოტა ხნის შემდეგ იცვლება, მაგრამ არის ისეთი ჭეშმარიტე ბეც, რომელიც სამუდამოდ უცვლელი რჩება, რადგანაც იგი დამოკიდებულია ბუნების კანონებზე, რომელიც ქვეყნის დასაბამიდან სამუდამოა და მისი შეცვლა მთელ საუკუნოებითაც არ შეიძლება. ასეთს სამუდამო ჭეშმარიტებას უნდა შეადგენდეს პირველ დაწყებით სწავლა-აღზრდის მოწყობა და წარმოება მხოლოდ მშობლიურს დედაენაზე. ყველა ქვეყნის საუკეთესო პედაგოგები და მეცნიერნი იმას გვიქადაგებენ, რომ კანონიერი განათლება თვინიერ დედა ენისა შეუძლებელიაო. მაგრამ თურმე არიან ისეთი პედაგოგნიც, რომელთაც უნაკლულოდ მიაჩნიათ ისეთი სკოლები, სადაც სწავლება საგნებისა სწარმოებს სხვა და სხვა ენაზე მიუხედავად იმისა, კარგად ესმის რომელიმე უცხო ენა მოწაფეს თუ ცუდად. თუმცა-და უნდა მოგახსენოთ, მართლა რომ საგნების სწავლება ჩვენს დღევანდელს სახალხო სკოლებში სამშობლო ენაზე იყოს მოწყობილი, როგორც პედაგოგი ბრძანებს, მაშინ ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. ჩვენს ეხლანდელს სკოლებში რომ «ცოდნის გადაცემა» მართლა დედა-ენაზე სწარმოებდეს და დედა ენას შესაფერისი პატივი და ადგილი ეჭიროს სკოლებში და უცხო ენაც ისწავლებოდეს, თანახმად ნამდვილ პედაგოგიურ კანონთა მიხედვით, მაშინ ჩვენი სახალო სკოლები არ შეიქნებოდნენ ისეთი უძლურნი, სუსტნი და უნაყოფონი, რასაც სამართლი-

*) იხ. „ივერია“, № 228.

ანად აღნიშნავენ ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ნამდვილნი მეთვალყურენი. მაგრამ ჩვენში ასე არ გახლავთ და არც გვგონია, რომ რუსებისა და ან ევროპიელების ნამდვილ სახალხო სკოლებში იყოს ისე, როგორც ჩვენშია. იმ ვითომდა პედაგოგებს, რომელნიც გვირჩევენ თავიდანვე „ცოლნის გადაცემას“ უცხო ენაზედ, ე. ი. გვირჩევენ რომ უცხო ენა სწავლების დაწყებისათანავე შეიქმნეს არა მარტო თვით სასწავლო საგნად, არამედ რომ ენაზედ, რომელზედაც უნდა ისწავლებოდეს სხვა სასწავლო საგნებიც. ჰგონიათ. რომ ამ საშუალებით მოსახერხებელია სკოლებში უცხო ენის გაძლიერება, მაგრამ, როგორც პედაგოგიურს კანონზე დაშორებული საშუალება, არა თუ საარგებლოა, პირიქით, დიდად მავნებელიც არის. ბავშვს გონება სხვა და ენაზე საგნების შესწავლით, მით უმეტეს თუ ეს ენები კარგად არ იცას, იბნევა, რადგანაც ნახევრად გაგებული, შეუგნებელი სიტყვები უცხო ენისა სტოვებს ბავშვის გონებაში გამოურკვეველს და შეუგნებელს აზრს. ამის მიხედვით სამშობლო ენაზე ნასწავლს ბავშვი ხშირად ივიწყებს, როცა ასწავლიან უცხო ენაზე.—Случается встрѣчать, что инородцы, выучивъ священную исторію по инородчески, переучиваютъ ее по русской книгѣ для того, чтобы отвѣчать на экзаменѣ экзаменующимъ, не знающимъ по инородчески. Смѣю утверждать, что это вторичное затверживаніе священной исторіи даже «просвѣщенными» верхне-силезскими учителями было бы найдено варварскимъ“ (იხილე „Что такое хор. урокъ“, გვერდი 122). პირველ დაწყებითს სკოლებში მკვიდრი სწავლა რომელისამე საგნისა შეიძინება მაშინ, როდესაც ნასწავლს ხშირად იმეორებენ დედაენაზედ, როდესაც პირველ დაწყებითი სწავლება მტკიცე საფუძველზეა დამყარებული და ეს მკვიდრი საფუძველი დედა ენაა. უცხო ენა კი მტკიცე საფუძვლობას ვერ გაუწევს და ახალ სუსტ საფუძვლის დადგმას იქ, სადაც მკვიდრი საძირკველი უკვე სდგას, მოჰყვება პირველის შესუსტებადა, რადგანაც ვერც მეორეს ძალუძს პირველის ადგილის დაჭერა, ამიტომ მთელი შენობაც საშიშო ხდება.

თუ მრწაფე დედა ენის შემწეობით გონება განვითარებულია, ჭკუით საღია, უცხო ენის შესწავლაც გაუადვილდება და სხვა საგნებისაც; როცა საგნის ცოდნა მკვიდრია და ბავშმა უცხო ენაზედაც იცის ლაპარაკი, სრულიად არ გაუჭირდება მკვიდრის ცოდნის განმარტება უცხო ენაზედაც. ცნობილია, რომ ჩვენი ძველი თაობა, რომელიც დედაენაში უფრო მომზადებული იყო, ვიდრე ახალი თაობა, უკეთესს ცოდნასაც იჩენდნენ, როგორც დედაენისას, ისე უცხო ენებისა და სხვა საგნებისასაც. განსვენებული ცნობილის ნ. ჩუბინაშვილი 1804 წ. 14 წლისა მიებარა კეთილშობილთა სასწავლებელში, სადაც ჩინებულს წარმატებას იჩენდა ყველა სასწავლო საგნებში. ხსენებულ სასწავლებელის დირექტორი ბუკრინსკი, რომელმაც კარგად იცოდა ქართული ენაც, ჩუბინაშვილის ასეთს წარმატებას საგნებში ხსნიდა უმეტესად იმ გარემოებით, რომ სკოლაში მისვლამდის ნ. ჩუბინაშვილი ყმაწვილობიდანვე თავის მამის, დეკანოზის დავით ჩუბანაშვილის სახლში, სადაც სკოლა იყო გამართული, გულმოდგინედ სწავლობდა ქართულ ენას თავის მშობლების ოჯახში. ბუკრინსკის აზრით — დასძენ პროფესორი ცაგარელი, რომ საფუძვლიანი ცოდნა დედა-ენისა ძრიელ ხელს უწყობს სხვა საგნების შესწავლაში და უცხო ენების ჩქარ შეთვისებაშიაც, ახალი არ არისო და სრულიად მართალიაო. რასაკვირველია, არც ერთი შეგნებული პედაგოგი ამას არ უარ ჰყოფსო. დედაენის საწინააღმდეგო არც «მოგზაურის» რედაქციას უნდა ჰქონდეს რა, მხოლოდ ცარიელის სიტყვით და, თუ კარგად დავუკვირდებით, ზოგიერთ ზემოდ ხსენებულის პედაგოგიურ ხასიათის წერილების აზრს, ნათლად დავინახავთ, რომ იმ წერილებში დასახელებულნი ზოგიერთნი საშუალებანი, როგორც ანდიპედაგოგიური, ძირს უთხრის პირველ დაწყებითს კანონიერ სწავლა-აღზრდის საქმეს ჩვენში.

ნათქვამიდან ცხადია, თუ როგორ საღს სულიერ საზრდოს აწვდის თავის სალაროდან «მოგზაურის» რედაქცია სოფლის მასწავლებლებს, რომელთა შორის ყველაზე უფრო დიდი კერძი უეჭველად ტ. ართმელაძეს ერგება, როგორც მუდმივს თანამშრომელს. რაც შეეხება ტირძნისის სკოლიდამ გამოსულს მასწავლებლებს, «მოგზაურის» პედაგოგიიდან ნასუფრალიც რომ არ შეხვდეთ, არას წააგებენ, თუმცაღა უნდა შევნიშნოთ, რომ საღს და სამეცნიერო პედაგოგიურს აზრებს ჩვენებური სოფლის მასწავლებლები დიდად საჭიროებენ. ჩვენს „მღვიძარ“ პედაგოგებს-კი ყველაფერში ორიგინალობა მოსწონთ და ამ ორიგინალობაში ხშირად ამახინჯებენ იმასაც, რაც მეცნიერებას და ბუნებას შეუქმნია.

დ. ბოტკაძე.

რუსეთი

პეტრეგბურგი. (საგუთარ კორენდ.) დღეს პეტერბურგში მშვენიერი დარია, ეს საკმარისია, რომ აქ ადამიანის ბუნება წამოხალისდეს.

ხალხი ჭიანჭველასავით მიდიმოდის პეტერბურგის გრძელ ფართო ქუჩებზე, ნევის „პროსპეკტზე“ და სხვ. ისმის ხმაურობა, სიცოცხლე სდღეს...

დღევანდელ დღეს ქუჩაში ყველა კურაპატკინის ახალ ბრძანების შესახებ ლაპარაკობს. ყველას რაღაც იმედი აქვს, ყველა რაღასაც მოელის მომავალში...

ქუჩაში დამეღალა სმენა-მხედველობა და შევედი საიმპერატორო საზოგადო წიგნთ საცავში.

პეტერბურგის საიმპერატორო წიგნთ საცავი ერთად ერთი ადგილია, სადაც ფულის გადაუხდელად შეგიძლიათ იშოვნოთ ყოველივე გამოცემა და მშენივრად მორთულ დიდ გრძელ დარმაზში იმუშავოთ სერიოზულად, თავისუფლად...

შედიხართ თუ არა დარბაზში ჰხედავთ რავდენსამე ასს ახალგაზდას, მოხუცს, ქალს, მოსწავლეთ და სხვათა. ყველა ესენი აქ მეცადინობენ, პოულობენ მასალას ყოველ გვარ სახისას...

დღეს მესამე დღეა პეტერბურგში ვარ, ყოველ დღე დავდივარ საიმპერატორო წიგნთ საცავში და, სამწუხაროდ, მხოლოდ ორს ქართულს მოვკარი თვალი...

მიკვირს-რატომ ჩვენი აქაური ახალგაზდობა არ სარგებლობს დროებით პეტერბურგში ყოფნით და გვერდს უქცევს ასეთ საყურადღებო წიგნთ საცავს, სადაც ბევრი ისეთი რამ გამოცემები (ქართულიც) არის, რომელთაც ჩვენში ვერ იპოვით.

რას იზამ, როდესაც ყველაფერს გვერდზე წამოწოლას და უსაქმობას ვამჯობინებთ...

წიგნთსაცავის ერთ-ერთ მოხელეს მოვთხოვე „ივერიის“ უკანასკნელი ნომრები... მოხელემ მომაწოდა სეკდემბრის ყველა ნომრები...

სამი დღეა არ წამეკითხა ქართული გაზეთი... დავიდევი წინ ნომრები, მაგრამ დიდხანს მოვუნდი საჭირო ნომრების პოვნას: მთლად არეული იყო...

ძლივს დავაწყე რიგზე...

ფაქტი ერთი შეხედვით არაფერს არ წარმოადგენს, მაგრამ თუ დავფიქრდებით, აქ ვიპოვით იმ სენს, რომელსაც დავასურათებთ შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ არაფერს ჩვენსას პატივის ცემით არ ვეპყრობით და არ ვაფასებთ“.

მოხელეს ვკითხე: „რატომ მაინც და მაინც აგრე არეულია „ივერია“ და არა სხვა ადგილობრივი გაზეთები? მიპასუხა:

— ყოველ დღე ვაწყობთ რიგზე და ყოველ დღე აგრე არეულნ ხოლმე. ათი წუთია, რაც დააბრუნეს, დალაგებით კი გუშინ დავალაგეთ რიგზეო. თვითონ მკითხველები რევენ, არც ერთ რუსულ გაზეთს არ ექცევიან აგრე ოგივე თქვენებური მკითხველები...

შემრცხვა... სიტყა გავაწყვიტინე და მოვითხოვე სხვა გაზეთები...

არ გვიყვარს, ბატონებო, წეს-რიგი არსად, არაფერში, არა!.., ასეთი გარამოების წყალობით კი ბევრს ვკარგავთ.

თითქმის არავინ ჩვენებური არ დადის სამუშაოდ საიმპერატორო წიგნთ საცავში.. თუ ვინმე შედგამს ფეხს შეცდომით და ჩაიგდებს ხელში ჩვენს რომელსამე გამოცემას, უკანასკნელს ათი წუთის შემდეგ თავს და ბოლოს ვერ ეპოვი...

გამოვემშვიდობე მოხელეს, გადავხედე დარბაზში გულ-დასმით მომუშავე უცხო ახალგაზდა ქალ-ვაჟთ და ორ გვარად დაწყვეტილი „ჩვენებზე“ გამოველი უუმდიდრეს წიგნი საცავიდან...

მიკვირს, ნევის პროსპეკტზე მოსეირნე ახალ გაზდობა როგორ უვლის გვერდს იქვე ამართულს მშვენიერ წიგნთ-საცავს..

მაღაქია ბოდეკაძე.

—

გაზ. „რუსსა“ სწერენ ორიოლიდან, აქაურმა გუბერნატორმა, ორიოლის ეპისკოპოზის კირიონის თხოვნით, დაუშალა გაზ. «ორიოლის მოამბეს», ნუ ჰბეჭდავთ კორესპონდენციებს ასეთის პსევდონიმებით ხელმოწერილებს: „ქერუბიმი“ და «სურავიმჩიკიო».

— ტვერის სამაზრო ერობამ გადასდო საერო განათლებისათვის 111,574 მ., მთელის ბიუჯეტის 55%-ი. ერის ჯანმრთელობის დაცვისათვის 75,293.

— კოლომნის სამაზრო საერობო კრებაზე (მოსკოვის გუბერ.) შჩეპკინმა წარმოსთქვა სიტყვა, აღნიშნა ახალ მინისტრის ნალაპარაკევი, რომელმაც საერთო სიხარული და აღტაცება გამოიწვია მთელს რუსეთში და სთხოვა კრებას დეპეშით მიულოცოთ მინისტრს და ვუსურვოთ ძალი და ღონე იმ სანეტარო ამბების განხორციელებისათვის, რომელსაც ის ადგიაო. კრებამ ერთხმად გადასწყვიტა გაეგზავნოს დეპეშა იმ კაცს, რომელიც მინისტრად დანიშვნასთან ერთად დაჰბერა ახალმა სიომ რუსეთის ცხოვრებასაო.

— დაახლოვებით ასეთივე სიტყვა წარმოსთქვა კურსკის საბჭოში ხმოსანმა დოლუენკოვმა. საბჭომ დაადგინა, გაეგზავნოს შინაგან საქმეთა მინისტრს დეპეშა მილოცვისა.

— ძალიან ესიამოვნა მთელს რუსეთს, რომ ახალ მინისტრის განკარგულებით დააბრუნეს უკან ციმბირს გაგზავნილი ხმოსნები ტვერის ერობისა, ფონ-დერვიზი და მილიუკოვი. მათი გაგზავნა გაჭიანურვა ამ ერობის საქმეთა რევიზიამ. ახლა ყველა ამბობს, მთავრობამ ამით დაამტკიცა, რომ ენდობა ერობას და ერობის მოღვაწეთაო. წარმოითქვა სიტყვა ნდობისა და კიდეც განხორციელდა. თუ რომ ურიგობა იყო ერობაში, იყო იმიტომ, რომ უნდობლად ეკიდებოდნენ. ამის გამო უკეთესნი კაცნი ან გულგრილად ეკიდებოდნენ საერობო საქმეს და შორს გაურბოდნენ, ან, უნდობლობით გულ-აჩხრეკილნი ისეთს საქმეს ეჭიდებოდნენ, რაც მათს კომპეტენციას აღემატებოდაო.

— შინაგან საქმეთა სამინისტროში ამ ჟამად აღძრულია შეამდგომლობა, რომ საზღვარგარეთიდგან კორესპონდენციების შემოტანის საქმე შემსუბუქებულ იქმნას.

ნარკვევი

(ფურნალ-გაზეთებიდგან)

გერმანელი სწავლული ლეონ ბრენტანო შეეხო რუსეთის მნიშვნელობას ევროპის კულტურულ განვითარების საქმეში ამ მე-XX საუკუნეს. მიუნჰენელი პროფესორი იმ აზრისა, რომ რუსეთი ან მუქარად გადიქცევა განათლებისათვის, ან გავლენიანი წევრი შეიქმნება ევროპის ერთა ჯგუფისა. ეს იმაზედ იქმნება დამოკიდებული, რა მიმართულებას მიიღებს რუსეთის შინაგანი ცხოვრება და პოლიტიკაო.

ეს ორშოდა-ათ მიდიონიანი ხალხიო, —ამბობს ბრენტანო,—ის ხალხი, რომელიც ფრიად სამძიმო კარეშოებაში შეჰქმნა ისეთი შესანიშნავი დიტერატურა, დაჰბადა ისეთი შესამჩნევი მუშაკნი ცოდნის ბევრნაირ სფერაში, ეამადლებს თავის მნიშვნელობასაც და ხელს შეუწყობს ადამიანის კეთილმიანებას, თუ უკეთესი კარი დაუდგება მის საზოგადოებრივს და სახელმწიფო ცხოვრებას.

—

გაზ. «რუს. ვედ.»-ის ბერლინელი კორესპონდენტი იწერება, რომ ამ ჟამად გერმანიაში ყველგან იმ ახალ სიოზეა ლაპარაკი, რომელმაც დაჰბერა რუსეთის ცხოვრებას. დღემდე რუსეთის მწერლობას აქაურები ყურს არ უგდებდნენ: რას იტყვის რიგიანს, როცა ნება არა აქვს რისამე თქმისაო. განათლებულს გერმანელს კარგად ესმის, რომ მთავრობაც ვერას გააწყობს იქ, საცა დამოუკიდებელი და თავისუფალი მწერლობა არ არსებობს. ვისაც ჩვენთვის კეთილი უნდა, სულ ამას ამბობენ:

უსათუოდ უნდა ნება მისცეთ გამოსთქვას ყველამ თავის აზრი გაბედვით, დაუფარავად, გულ-ახლით, დაეუნდა გაკვაჭარბოს კიდეც, დამდაშოს. ეგ საშიში არ არის მთავრობისათვის, რომელიც ეძებს შეკვლას და დახმარებას ქვეყნის საუკეთესო შვილთაგან. ათას ჯერ უფრო საშიშია ისეთი წეს-წყობილება, როდესაც მხოლოდ ბნელეთის მოყვარულებსა და რეაქციონერებს შეუძლიანთ ხმა-მაღლა გამოსთქვან, რაც გულში აქვთ, ხოლო პატიოსანი მუბლიცისტები აძულებულნი არიან ან სულ ენა-დადუმებულნი იყვნენ, ან ენის კვნეტით დამარაკობდნენ, ან არა და თავის თავისუფალ აზრისათვის სავანებს საზღვარ-გარედ ეძებდნენ. კანა საზოგადო არ არის თქვენის მწერლობისათვის, რომ ისეთი ჭეშმარიტი პატრიოტი და თან კაბადადი მოწინააღმდეგე სხვა-და-სხვა სოციალურ ცვლილებათა, როგორიც იყო კანსვენებული ბ. ნ. ბაჩერინი, აძ ლებული იყო ზოგიერთი თვისი ნაწერები, სხვათა შორის, მშვენიერი წიგნი „Россія наканунѣ XX вѣка“, —ბერლინში დაუბეჭდა და არა რუსეთში?

კორესპონდენტი ამბობს ბოლოს, რომ ჩვენი გამოფხიზლება, ნიშნები ჩვენის ცხოვრების განახლებისა ძალიან სწყინთ აქაურ ულტრა-შოვინისტებსა და არხი-ტევტონებსაო. ამისთანა ვაჟბატონები როდი ჰმალავენ და ურცხვად ამტკიცებენ, ჩვენთვის ისა სჯობია, რუსეთი უმეცრებაში იყოს და ბიუროკრატია უსამზღვროდ ბატონობდეს იქაო. განვითარება საზოგადოებისა, მისი მეგობრული და თანხმობით აღსავსე მუშაობა მთავრობასთან ხელი-ხელ-ჩაკიდებულიო,—ამბობენ ისინი, —წინ წასწევს რუსეთს, ისე გააძლიერებს ეკონომიურად და პოლიტიკურად, რომ გერმანია გაფასდება იმასთანაო.

—

პროფესორი მიგულინი სწერს, რა რეფორმებია სასურველი შუა-გულ რუსეთისათვის.

ამ შუა-გულს რუსეთს ეჭირვება შინაგანი რეფორმები—ეკონომიურიც, ბიდიტიკურიც. ამ შემთხვევაში ორ-გვარი დაბრკოლა არ შეიძლება. ან ჭო, ან არა. რეფორმები ადვილი შემოსაღებია, დონისძიებაც, რომელიც საჭირო იქნება მაგ შემოდებისათვის, შესაძლოა მოხოვებულ იქმნას, თუმცა ზოგნი სულ სხვა აზრს ჭაბაგებენ. ცხადია, რომ ძველებური წესი საფინანსო მეურნეობის წარმოებისა უნდა უარ-ყოფილ იქმნას და სულ სხვა, ახალი სისტემა დაწესდეს. დიდი, დაუურსებული და შემოქმედი მუშაობა თუ არ ვიკისრეთ, მტკიცედ და სავსებით ვერ ვიგემარჯვებთ მტერზედ. თუ გვინდა ვძლიოთ საშიშროებას, მუქარით ზედ-მოსეულს, თუ დასავლეთიდანა და თუ აღმოსავლეთიდან, არ უნდა ვიკმაროთ კარგად შეიარაღებული და მამაცი მხედრობა. გამარჯვებისათვის ბევრი რამ სხვაც არის საჭირო. საჭიროა სწავლა-ვარჯიშობა, საჭიროა თავისუფლება, ეკონომიური ძალიერება. როცა ასეთი ვითარება ჩამოყალიბდა, მხოლოდ მაშინ შეეგვიძლიან ვსძლიოთ დღევანდელს მტერსაც და შემდეგშიაც უშიშად ვგრძნობდეთ თავს და ფიქრიც არა გვქონდეს ხელ-ახლად მტრის შემოსევისა; მხოლოდ მაშინ შეეგვიძლიან გულ-დამშვიდებით შეეუდგეთ ჩვენის შინაგანის განვითარების საქმეს.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

9 ოკტომბერი

პეტერბურგი. მუკდენიდან «პრავ. ვესტ.»-ს აუწყებენ 8 ოკტომბრის თარიღით: ამ დღეს მანჯურიის ლაშქარს გამოეცხადა შემდეგი უმაღლესი დეპეშა: «სიამოვნებით გაძლევთ ნებას დააჯილდოვოთ გენერალ-მაიორი პუტილოვი წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით; მიხარის მტრისთვის ზარბაზნების წართმევა და ჩემის საყვარელ ჯარის სასიქადულო მოღვაწეობა. გადაეცით ყველა ჯარებს ჩემი მადლობა. განსაკუთრებით აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა მე-19 პოლკს. დაგიფაროთ ღმერთმა. ნიკოლოზ».ჯარის უფროსი თავის ბრძანებაში აცხადებს; «ბედნიერი ვარ გავუზიარო ჯარს ხელმწიფის მამობრივი და დიდმნიშვნელოვანი სიტყვები. ხელმწიფე უთვლის მადლობას მანჯურიის მთელს ლაშქარსა და განსაკუთრებით აღმოსავლეთ-ციმბირის მე-19 პოლკს».

დოროგობუჟი. საერობო კრებამ გადასდო ათასი მან. თბილ ტანისამოსის შესაძენად იმ დაჭრილთათვის, რომელთაც სმოლენსკის საერობო სასანიტარო რაზმი სამშობლოში ჰგზავნის. საერობო მოხელეებმა შესწირეს ამ საქმეს 500 მანეთი.

კეკინი. (რეიტერი). ხმები მიმოვლენთა შორის მოძრაობისა, ურგასა და სხვა ადგილებში მომხდარ კრებათა შესახებ, საფუძველს მოკლებულია.

სტამბოლი. — რადგან პატრიარქისა და სინოდის ოთხ წევრთა [illegible] ბა ჩამოვა- და და სინოდის წევრობა პატრიარქის სამსახურიდან გადაყენება მოიწადინეს, უკანასკნელმა საერო საბჭოს 12 წევრმა სინოდის კრება მოახდინა, რომელთაც გადასწყვიტეს სინოდის ოთხივე წევრი გადააყენონ სამსახურიდან და იმათ მაგიერ წევრებად მიტროპოლიტები დანიშნონ. პატრიარქმა ამის შესახებ მოხსენება გადასცა მინისტრთა საბჭოს, რომელიც მსჯავრს დასდებს. საქმის მცოდნენი დარწმუნებულნი არიან, რომ ეს საქმე მოეწყობა და პატრიარქი თავის ადგილზე დარჩება.

სოფია. 9 ოკტომბერი. გამოცხადებულია მთავრის ბრძანება 15 ოკტომბერს საერო კრების მოწვევის შესახებ.

სტამბოლი. (კორ. ბიურო). პირობით შეკრულ სახელმწიფოთა ელჩებმა გადასწყვიტეს, ხელახლად უარ-ჰყონ პორტას პროტესტი მაკედონიის ეანდარმერიაში უცხოელ აფიცერთა რიცხვის მომატების შესახებ.

როგორცა სჩანს, საპატრიარქო კრიზისი საბოლოოდ დასრულდა მას შემდეგ, რაც მინისტრთა საბჭომ გაჭიკცხა სინოდის საოპოზიციო დასი და უარ-ჰყო იმისგან წარმოდგენილი მოთხოვნილება, რომელშიაც გამოცხადებული იყო პატრიარქის გადაყენება. ბერძნები თანაგრძნობით მიეგებენ კრიზისის დასრულებას.

პარიზი. დეპუტატთა პალატაში კომბმა გამოაცხადა, კონკორდატის მხრის დაჭერა არა შეიძლებაო. «ეკლესიის სახელმწიფოდან გაყოფა აუცილებელი გახდაო, სთქვა კომბმა. პაპიმ მოისურვა გაყოფა და სურს დაიმორჩილოს სახელმწიფო». კომბის სიტყვამ ხანგრძლივი ტაშის ცემა გამოიწვია. პალატამ ნდობა გამოუცხადა და 325 ხმით 237 ხმის წინააღმდეგ, და საუბარი სხვა ჯ სხვა საგანზედ გადავიდა.

სოფია. სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ნაჩევიჩმა გადასწყვიტა თავი დაანებოს სამსახურს, რადგანაც პორტა არ აკმაყოფილებს იმის თხოვნას გადახვეწილთა და მაკედონიაში მცხოვრებ ბულგარელთა შესახებ. ბელგრადში სამხრეთ-სლავიანთა გამოფენის შემდეგ მხატვრები ჩამოვიდნენ თავიანთ ბულგარელ ამხანაგების სანახავად. ბულგარელ მხატვრებმა სიამოვნებით მიიღეს ისინი.

სტამბოლში სიამოვნებით მიეგებნენ საელჩოს-მიერ მიღებულ ცნობას იმის შესახებ, რომ პორტამ სერიოზული ყურადღება მიაქცია ევროპის ოსმალეთში სხვა და სხვა ეროვნებათა ბრძოლას და ბეჯითად სთხოვენ, ამ ბრძოლას ბოლო მოეულოს.

10 ოკტომბერი

ლონდონი. (რეიტერი). ოიამა 8 ოკტომბრის თარიღით იუწყება: იაპონელთა ლაშქრის შუბლის ჯარში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. აქამდე იაპონელებმა 43 ზარბაზანი წაართვეს რუსებს.

ბარი, 9 ოკტომბერი (რეიტერი). გემმა «ესპერანც»-მა დატვირთა 900 ტონნი ქვა-ნახშირი და 400 ტონნი სურსათი და საღამოს ვიგოს მიდის ბალტიის ესკადრის შესახვედრად.

ბერლინი. ახლად დაარსებულ ბირჟას ეტყობა დაღვრემილობა, რომელიც გამოწვეულია „ს.-ჯემს გაზეთ“-ის მიერ გერმანიის გაზეთებისთვის გადაცემულ ცნობით, ვითომც რუსეთს გადაეწყვიტოს გაგზავნოს შორეულ აღმოსავლეთში ბალტიის ესკადრასთან ერთად შავის ზღვის ესკადრაც და ძალა უნდა დაატანოს პორტას, რომ ნება მისცეს რუსეთს დარდანელში გაიყვანოს თავისა გემები.

ხარბინი, 9 ოკტომბ. (საკუთ. კორ.). ბოლო დღეებში მტერთან შეტაკება არ მომხდარა. მიღებულ ცნობებით, იაპონელებმა 7 ოკტომბერს დაიწიეს სახეპუდან და ზოგიერთ მოწინავე პოზიციებიდან. რუსებმა ხელთ იგდეს ბევრი იარაღი და სურსათი. მომხდარ ბრძოლებში რუსები ძლიერ დაზარალდნენ: 23 სეკდემბრიდან გაგზავნეს ჩრდილოეთისკენ 26 ათასი დაჭრილი.

პეტერბურგი. ხელმწიფე დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა გაუგზავნა ჩელიაბინსკში ნარიშკინის ქალს ორი ათასი მანეთი იმ გაჭირვებულ და დასუსტებულ ჯარის-კაცთა და-

სახმარათ, რომელნიც საავადმყოფოებიდან გამოვიდნენ და შორეულ აღმოსავლეთიდან სამშობლოში ბრუნდებიან.

ტოკიო, 9 ოკტომბერი (რეიტერი). რუსები თავს იყრიან კუროკის ჯარის პირდაპირ. რუსის კავალერიის რაზმი გადავიდა ტაიმიხეზე, ბენსიხუდან აღმოსავლეთით. ბრიგადის უფროსის იამადას რაზმს მოუკლეს 10 ოფიცერი და დაუჭრეს 20. მოკლულთა რიცხვში პოდპოლკოვნიკი უზუკა ურევია. რუსებმა ყუმბარები დაუშინეს სადგურ შახეს 7 ოკტომბერს. რუსის მარცხენა ლაშქარი განაგრძობს წინ სვლას სხვა და სხვა ადგილებში, შახედან სამხრეთად, განსაკუთრებით ბენსიხუდან აღმოსავლეთისაკენ. რუსის ჯარი, 20,000 კაცი, თავმოყრილია კაოტალინთან ბენსიხუდან ჩრდილოეთით. რუსები და ნოძუსა და ოკუს მოწინავე ჯარი დრო გამოშვებით ესვრიან ერთმანეთს.

მუკდენი. 8 ოკტომბერი (რეიტერი) დიდი ბრძოლა გათავდა 4 ოკტომბერს, რუსეთის შუაგულის და აღმოსავლეთის რაზმები, ბენსიხუს იქით მყოფნი, კიდეე სამს დღეს ესროდენ ყუმბარებსა. 4 ოკტომბერს იაპონელებმა დაუშინეს ყუმბარები რუსის დასავლეთ რაზმის უმთავრეს სადგომსა იმ დროს, როცა რაზმის შტაბი ეკან იხევდა. ყუმბარამ დაანგრია ვაგონი-სამზარეულო და სამი ცხენი მოჰკლა, სხვა ზიანი კი არ მიუყენებია. 5 ოკტომბერს წვიმა მოდიოდა და ორთავე ლაშქარმა ბრძოლა შესწყვიტეს. აღმოსავლეთის რაზმმა იაპონელებს წინაალმდეგ დემონსტრაცია მოახდინეს. უსწორ-მასწორო სროლა იყო აღმოსავლეთ რაზმის მთელ ფრონტზე. ქალაქი ბესიაპუ, რომელსაც თავს დაეხსნენ, არის თანხეს სამხრეთ ნაპირზე და, საფიქრებელია, რომ იერიშის დროს იმას ვერ დაიცავენ. ამ შემთხვევაში ორთავე ლაშქარს ეჭირება ძლიერი პოზიციები ხეობაში მდინარის ორთავ კიდეზე, რომელიც ორთავ მებრძოლთ გაჰყოფს მთელის ზამთრის განმავლობაში. იაპონელები ხანდაზმით ისვრიან, ეტყობა სასროლი მასალა აკლიათ. ორთავე ლაშქარი ცდილობს ჯარები მოიშველიოს და მიიტანოს საომარი მასალა. გასაოცარი სიმტკიცე გამოიჩინეს ჯარებმა, რომლებიც ცდილობენ არტილერია შეავსონ. ხმაა, თითქმის ნახევარი იმ ზარბაზნებისა, რომელიც იაპონელებმა დავლათ წაიღეს, რუსებმა დაიბრუნესო. ორთავე ლაშქართა ცხენოსნებმა თავი იჩინეს ზარბაზნების წაღების დროს იმის შემდეგ, რაც რუსებმა თავი დაანებეს მთაგორიან ადგილებსა ხუნხეს ჩრთილოეთიდ გადააკეთეს ადგილი, გაზდეს-რა ხიდები, გაბეს ტელეგრაფი, ააგეს სიმაგრეები. ისინი გავლენ ხუნხეზე ხიდების შემწეობით ოთხს ალაგსა. ბრძოლის შემდეგ, რომლის მსგავსი ჯერ არ ყოფილა, რუსებმა შეინარჩუნეს მთელი პოზიციები აღმოსავლეთისაკენ შვიდი მილის მანძილზე, ხოლო დასავლეთით ათი მილის მანძილზე. რუსებმა საოცარი წინდახედულობა და გამბედაობა გამოიჩინეს, რაც ამართლებს კუროპატკინის განცხადებას, რომ ამიერიდან უკან დახევა აღარ იქმნებაო. დიდი სიცივეები დაიჭირა. კარავებში სიცივისაგან ჯარის კაცნი თავს ვერ იფარავენ და ეს გარემოება, უეჭველია, იძულებულ-ჰყოფს, იზრუნონ საზამთრო ბინაზე ლაშქრისათვის.

11 ოკტომბერი

ტოკიო. კუროპატკინის და ოიამას ლაშქრები ერთიერთმანეთის პირდაპირ დგანან. არც ერთი სატევ მოქმედებას არ იწყებს. იაპონიის უმთავრეს ბანაკიდან გამოგზავნილ მოხსენებაში ნათქვამია, რუსები დიდს ჯარს აგროვებენ იაპონიის მარჯვენა ლაშქრისაკენ. რუსის ცხენოსანი რაზმი გავიდა თაიციხეს და წაიწია დასავლეთისაკენ. 7 ოკტომბერს რუსებმა ზარბაზნები დაუშინეს შახეს მხარესა.

ხარბინი, 9 ოკტომბერი. მტერთან ბრძოლა არ ყოფილა. ჩვენი ჯარის წინ თითქო შესუსტდა მტერი იაპონელთ დასცალეს შეხვეუ. მტრის არტილერია ან გაჩუმებულია ან ათასში ერთხელ ისვრის.

ბელსტოკი. 6 ოკტომბერი. საღამოს 7 საათზე 1 ნაწილის ბოქაულის კანცელარიაში შევიდა ესე 20 წლის კაცი, რომელიც მუშას ჰგავდა, და ყუმბარა გადისროლა, ის ავეთქდა; დამნაშავე მოკვდა, დაიჭრა მწერალი, მისი თანაშემწე, უბნის ზედამხედველი, პოლიციელი და ორი კერძო კაცი, რომელიც კანცელარიაში იყვნენ. სახლი ძალიან დაზიანდა; მებელი სულ დანაგოტდა. ახლო-მახლო სახლებშიაც კი დაამტვრია მინები. გამოძიება სწარმოებს.

ლონდონი. (რეიტერი). კორესპონდენტი, რუსის აღმოსავლეთ ლაშქარში მყოფი 10 ოკტომბრის თარიღით იუწყება მუკდენიდან, ორთავე ლაშქარნი ახლო-ახლო სდგანან. რუსებს სრულიადაც არა აქვთ განზრახვა ჩრდილოეთად დაწყვისა. ამ დღეებში არტილერია ისროდა ყუმბარებსა ორთავ მხრიდან და ქვეითი ჯარი იერიშობდა. იაპონელნი წინ არ მოდიან, ელიან რუსების შემოტევას.—მალე დიდს ბრძოლას მოელიან, რაკი სიცივეები დაიჭირა, მუკდენსა და ლიაონს შუა დგომა კი უვარგისია. როცა რუსებმა სერი აიღეს, დაიბრუნეს იაპონელთაგან წართმეული რამდენიმე ზარბაზანი და დიდძალი სამხედრო მასალა. ბრძოლის შემდეგ სერი მოკირწყლული იყო დაკრილ და დახოცილ იაპონელებითა.—რუსები იაპონელთა ტყვეებს ყურადღებით ეპყრობიან. კორესპონდენტი ყოფილა ერთ საავადმყოფოში, სადაც ჯარის-კაცნი ოფიცერთა განყოფილებაში ყოფილან. ექიმები საუცხოოდ ასრულებენ მოვალეობას. ძალიან ჩქარა უხვევდენ და გზავნიდენ საავადმყოფოში. სამხედრო სამზარეულოებმა დიდი სიკეთე მოტანეს.

მუკდენი, 9 ოკდ. (რეიტერი). კორესპონდენტი, რომელიც რუსთა აღმოსავლეთს რაზმშია, იუწყება, რომ ორივე ლაშქარი უმოქმედობას იჩენსო. რუსებმა ხელახლად დაიჭირეს ბანიაუძა. იაპონელებს უპირავთ მადლობი ადგილები, დაქანებული შახესაკენ. მოწინავეთა ბრძოლა განუწყვეტელია.—მიშჩენკოს დიდი ომი ჰქონდა 7 ოკტომბერს დასავლეთისაკენ. ამ მხარეზედ მგონი რუსნი იმარჯვებენ.—როგორც ხმა ისმის, იაპონელებს ზარბაზნები წაართვესო. რუსნი, როგორცა სჩანს, აპირობენ კვლავ სატევი ომი დაიწყონ. აცივდა და ცუდი ამინდი დაიჭირა.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა მანჯურიის 1-ლი ლაშქრის სარდლისა, გენ.-ადუტ. კუროპატკინისა 10 ოკტომბრის თარიღით: «9 ოკტომბრის დამემ საზოგადოდ მშვიდობიანად გაიარა. ჩვენები, ვისაც გული ერჯოდა, აწუხებდნენ მტერს; თავის მხრივ, იაპონელებიც სცდილობდნენ თავს დასხმოდნენ უეცველად ჩვენს მოწინავე ჯარებს, მაგრამ ყველგან უკუ-ქცეულ იქმნენ. ყოველსავე ზემორე-თქმულს უქვეშევრდომილესად მოგახსენებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას».

მუკდენი, 10 ოკდ. (რეიტ.) გაცხარებული ბრძოლაა მთლად საომრად გამწკრივებულია რიგზედა. რუსნი მაგრდებიან იმ ადგილებზედ, რომელიც ამ დღეებში დაიჭირეს. დაწვრილებულნი გარემოებანი ამ უკანასკნელის ომისა ჰმოწმობს, რომ დიდი და გამძვინვარებული ომი ყოფილა, სოფლები აივსო დაკრილებით. იაპონელთა სათადარიგო ჯარის კაცნი ჰხმარობენ ძველის სისტემის თოფებს; ტყვია ლბილის სპილენძისაა და მისგან დაკრილი საშიშს ყოფაში ვარდება. ბევრი ჩინელი გლეხ-კაცია დაკრილი. საცოდავს ყოფაში არიან უბედურნი. 30,000 ლტოლვილმა მუკდენს შეაფარა თავი. რუსთა ჯარის-კაცნი სთავაზობენ იაპონელ ტყვეებს თუთუნსა და საჭმელსა. რუსთა ოფიცერნი აქებენ იაპონელთა მამაცობას. იაპონელებმა ნება მისცეს რამდენსამე დაჭრილ რუსს, ტყვედ შეპყრობილს, დაბრუნებულიყვნენ თავისიანებთან. თან ჭრილობანიც შეუხვიეს.

ტოკიო, (რეიტერი). იაპონელებმა ამას-წინად 47 ტყვე გაუშვეს, ზოგი იმიტომ, რომ მძიმედ იყვნენ დაჭრილნი და სამსახურში აღარ გამოდგებოდნენ, ხოლო ზოგი კი იმიტომ, რომ სასანიტარო სამსახურში იყვნენ. ოფიციალური გაზეთი, აცხადებს რა ტყვეთა განთავისუფლებას, საჩივარს ამბობს, რუსები ეენევის კონვენციას არ ასრულებენო. ბრძოლაში მონაწილენი წითელი ჯვრის ნიშანს იკეთებენ და როცა ბრძოლას გაათავებენ, დაჭრილებს აგროვებენო. იაპონიაში ამ ჟამად სამი ათასი ტყვეა რუსი.

მუკდენი, 9 ოკდომბერი. (რეიტერი). «მორნინგ პოსტის» კორესპოდენტი იუწყება: «მე მოვედი მუკდენს ზაბაიკალის მეორე ბატარეის სადგომიდან, სადაც 26 სეკდემბრიდან ვიყავი. ბატარეიამ დიდი სამსახური გასწია, განსაკუთრებით 3 ოკდომბერს, როდესაც რუსის ჯარის დაწევას იცავდა მტრის ძლიერი არტილერიის სროლისაგან. ბატარეია 5 ოკდომბერს ძალიან მარჯვედ ესროდა კლდიან გორას, რომელიც მეორე დღეს ჴუტილოვმა აიღო. გარდა დაფენილი იყო მკვდრებითა. ზაბაიკალის ჯაზახები ძალიან გულმტკივნულად ეექცეოდენ იაპონელთა დაჭრილებსა.

ლონდონი, (რეიტერი). ბალტიის ესკადრამ უაუტის ახლო ზღვაში გემი გაა-ჩერა.

დროებით რედაქტორი **ბრ. ᲥᲘᲤᲨᲘᲫᲔ**.
გამომცემელი **Ა. ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ**.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲛᲝᲚᲘᲗᲮᲝᲕᲔᲗ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ

„ᲝᲓᲝᲑᲠᲘᲜᲘ“ მ. Ვ. ᲚᲔᲑᲔᲓᲔᲕᲘᲡ“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცსძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.
(0—6—14)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

ᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡᲑᲘ Ს. ᲛᲔᲡᲮᲘᲡᲐ

ტ. 1. II+533 გვ.

ავტორის სურათით და ავტოგრაფით, გამოცემა ს. ფარცხალავასი. ფასი ერთი მ. უმთავრესი საწყობი «წ. კ. გამავ. საზოგადოებაში».

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲔᲠᲕᲐᲚᲝᲨᲘ დაიწყო მუშაობა. მიიღებენ შესაკერად

ᲙᲐᲑᲔᲑᲘ

ძლიერ იაფად, ოთხიდან ექვს მანეთამდე ფასონს.

იქვე, სახელოსნოს მეორე განყოფილებაში, მიიღებენ შესაკერად ყოველ გვარ **თეთრეულს, მეტკებს** და მოსაქარგად აბრეშუმს—ფერადის ძაფებით, მუთაქა ბალიშს და სხვ.

ᲞᲠᲐ-ᲙᲔᲠᲕᲘᲡ კურსებზედ მიიღებენ მოზრდილ ქალებს.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ვერა, მოსკოვის ქუჩა, № 6.

(4—344—4).

გამოვიდა და ისყიდება

ᲙᲐᲢᲐᲚᲝᲒᲘ

წარმოსადგენად სებერთულ—ქართულ ენაზედ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡᲐ

ᲤᲐᲡᲘ 15 ᲙᲐᲞ.

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგარდოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილის (3—3)

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

Ს. Ბ. ᲗᲝᲢᲤᲣᲠᲐᲡ

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲨᲘ,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის ᲞᲠᲘᲜᲪᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲝᲚᲓᲔᲜᲑᲣᲠᲒᲔᲚᲘᲡ მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეობა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპი. ლ. გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებს სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲓᲦᲔ-ᲦᲐᲛᲔᲨᲘ ᲞᲐᲛᲐ-ᲡᲛᲘᲡᲐ და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

ᲮᲣᲗᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ „ᲪᲝᲦᲜᲐ“-Ს ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ.

ილია ჭავჭავაძის ლექსები.	15 კაპ.
რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა	20 ,,
რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა	10 ,,
სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . .	10 ,,
ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . .	7 ,,

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.
(40—40). შადაზიის ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ სოსიკო მერკვილაძე.

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნ.-ნოვგოროდი.

ᲙᲐᲚᲝᲨᲔᲑᲘᲡᲐ

ᲓᲐ ᲠᲔᲖᲘᲜᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ

(Grand prix)

პარიჟის გამოფენაზე მიენიჭა რუსეთში მხოლოდ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲐᲡ

რუსეთ-ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ

რეზინის მანუფაქტურისა

ს.-ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ,

დაარსებულს **1860** წელს.

ᲠᲔᲖᲘᲜᲘᲡ ᲙᲐᲚᲝᲨᲔᲑᲘᲡ ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-ПЕТЕРБУРГЪ“ (წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).

ᲜᲐᲠᲓᲐᲗ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐᲡ ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲕᲔᲑᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ

„ᲚᲔᲝᲠᲓᲘᲜᲘᲐᲡ ᲜᲘᲔᲛᲔᲚᲚᲔᲠᲘ“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკათერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, **ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲔᲑᲡ** და ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲨᲘ.
(60—59).

Дозволено цензурою Тифлисъ 11 октября, 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи